№ 111 ოთხშაბათი, 10 თებერვალი. 1896—1897 ოთხშაბათი, 10 თებერვალი, № 111

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და სალამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ამ მომდინარე 1897 წლისთვის
მიიღება ხელის მოწე ა ყოველდღიურ გაზეთ
„ცნობის ფურცელზედ“
ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიეცა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი“, შედგენილი ზაქ. ჭიჭინაძის მიერ.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.
სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.
თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, Фрейлинская, № 13.**
Редакція „Цнобисъ Пурцели“.

ქართული თეატრი
ბენეფისი ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა.
ოთხშაბათს, 12 თებერვალს 1897 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ: ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

I

პირველად ახალი პიესა

ფუპატიოსნონი არ იბადებიან

დრ. 3 მოქ. როვეტტისა, თარგ. გალუსტოვისა (ეს პიესა დაჯილდოვებულია).

II

პირველად ახალი ვოდევილი

შეცდომა

ვოდ. 2 მოქ. თ. ი. ბარათაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელი, ივანიძისა, კუნდელი; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გედევანოვი, სვიმონიძე, გამყრელიძე, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
ბილეთები არავის გაეგზავნება.
დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი. ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში
ივანე როსტომაშვილის
ალბომი
„ქართველთა ცხოვრება“
მრავალის სურათებით
ფასი გაგზავნით და მშვენიერის ყდით 5 მან.
ვინც ნაღდად ათს ცალს იყიდის, ალბომი 4 მან. დაეთმობა.
ადრესი: ტფილისი, ივანე როსტომაშვილს. *Тифлисъ, И. Ростомашвили.*

თავ. დიმიტრი მაჩუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთის დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
◆ **ფასი მასალებისა მეტად იაფია** ◆
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში
სურველთ შეუძლიათ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჩუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—33)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრიტკასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტკასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**შ. ქ. ზერატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.** თვალების ავადმყოფობას—**ი. ა. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.** (წ.)

„ახალი მკითხველი“
მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლის გამოცემებზე.
ფასი მთელი წლისა 3 მანათი.
შეიძლება თითო მანათობითაც პირველ სამ თვეში ხელის-მოწერის დღიდგან.
ადრესი: *Тифлисъ. „Новый Читатель“. Ивану Павловичу Ростомову.* (30—29)

გუშინდელი დეპეშა

8 თებერვალი.

პარიზი. ლათინთა უბანში საღამოს სტუდენტებმა მანიფესტაცია გამართეს საბერძნეთის სასარგებლოდ. შემდეგ მანმარტრის ბულვარზედ რამდენჯერმე შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან. დატუსაღებული ბევრია.

ვენა. „ფრემდენბლატტი“ ამბობს, რომ კრიტის შესახებ ორი დედააზრი უნდა იქმნას დაცული და დიდმა სახელმწიფოებმაც ამ დედააზრთ დაუჭირონ მხარი: 1) ბალკანეთის არც ერთს სახელმწიფოს უფლება არ უნდა ჰქონდეს თავისის სურვილისამებრ აღძრას აღმოსავლეთის საქმე; 2) იმ ადგილებშია. რომლებიც დიდმა სახელმწიფოებმა დაიჭირა, წინანდებური არეულ-დარეულობა, წეს-რიგი მართვა-გამგეობისა აღარ უნდა განმეორდესო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ 194 ხმით 43-ის წინააღმდეგ მეორე წაკითხვის შემდეგ შეიწყნარა კანონ-პროექტი სამხედრო ციხე-სიმაგრეთა და გემ-ხომალდთა აგებისა.

ლონდონი. „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ კანეიდგან: „კაპიტანმა ანფეტიმ შეუთვალა საბერძნეთის კონსულს, რომ თუ საბერძნეთის დროშა აშლილ იქმნა საელჩოს შენობაზედ, ზღვის ჯარი ჩამოხსნისო“.

ლონდონი. პარლამენტის წევრის ბრაინის თავმჯდომარეობით ლამე კრება შესდგა კრიტის საბერძნეთთან შეერთების შესახებ. ამ კრებას პარლამენტის მრავალი წევრი დაესწრო, საბერძნეთის რწმუნებული და ბერძენთა ახალშენის წევრნი.

კონსტანტინეპოლი. დიდ სახელმწიფოთა თანხმობით ყარათეოდორი-ფაშა კრიტის გენერალ-გუბერნატორად იქმნა დანიშნული.

კონსტანტინეპოლი. გემების საომრად მზადებამ აღმოაჩინა, რომ ოსმალეთის ფლოტი ისეთს ცუდს მდგომარეობაში ყოფილა, რომ სამხედრო და საერო წრეები დიდად აღელვებულნი არიან. დიდი ხარჯია საჭირო და რამდენიმე კვირის გარდა, რომ საუკეთესო გემები სამხედროდ გამზადდესო.

მანასტირისა და იანინის გენერალ-გუბერნატორები იუწყებიან, რომ ალბანელები თხოულობენ, მოგვეცით იარაღი და საზღვრებზე დაგვაყენეთო; თუ იმათი სურვილი დაკმაყოფილებული არ იქმნა, არეულობის შიში უნდა გვქონდესო.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის ორივე დელეგატები ისევე მიიღებენ მონაწილეობას იმ კამისიაში, რომელმაც კრიტის ჟანდარმერიაში შემოსაღები ცვლილებანი უნდა შეამუშაოს. კრიტის ჟანდართა რაზმისთვის მოგროვილი 80 ჩერნოგორელი კრიტში დარჩებიან.

ათინა. მინისტრ-პრეზიდენტმა პალატაში კანონ-პროექტი შეიტანა იმის შესახებ, რომ კრიტში საბერძნეთის საელჩონი გაუქმდეს და 1890—1892 წლის სათადარიგო ჯარის კაცნი იქმნენ მოწოდებულნიო.

კანეია. საბერძნეთის კონსულის მიერ გამოგზავნილ იმ ცნობის პასუხად, რომ პოლკოვნიკი ვასსოსი ხალხს იწვევს და ჰქადაგებს კრიტი საბერძნეთს შეუერთოთო, უცხო სახელმწიფოთა კონსულებმა საერთო წერილში განაცხადეს: „ჩვენ ჩვენის მთავრობისაგან დავალებულნი არა ვართ ეს ამბავი საყურადღებოდ მივიღეთო.“

სელინოდგან მოსულმა გემმა, რომელმაც 19 დაჭრილი კაცი მოიყვანა, ამბავირომ მოიტანა სელინოში 125 მაჰმადიანია მოკლული და მრავალ ქრისტიანეთა ოჯახის მაჰმადიანები გარს არტყიანო. ადმირალმა დაადგინა იმათ გასათავისუფლებლად სელინოში ჯავშნიანის გემით რუსეთისა, ინგლისისა და იტალიის კონსულები იქმნან გაგზავნილიო.

ახალი ამბავი

*** **ახალი წესი ფულის გაგზავნისა.** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორაში ისყიდება ახალი წიგნაკი, რომელშიაც აწერილია ახალი წესი, როგორ უნდა გაიგზავნოს ფული ფოსტითა და ტელეგრაფით. წიგნაკი ღირს 5 კაპეიკი.

*** **ხმოსნის რიდის მოხსენება.** ერთს ხმოსანს ბ-ნ რიდს განზრახვა აქვს შეიტანოს ქალაქის საბჭოში მოხსენება შესახებ იმისა, რომ ქალაქმა შემოიღოს ისეთი წესი ნაგვის გატანისა სახლებიდგან, როგორიც ვენაში არის. ქალაქმა უნდა იქონიოს ნაგვის ურმები და ამ ურმებით წაიღოს ხოლმე ყველა სახლიდგან ნაგვები დანიშნულ ფასად.

*** **შეღავათი რკინის გზის ტელეგრაფის მოხელეთა და მესრეთათვის.** რკინის გზაზედ ხშირადა ხდება ხოლმე უბედურება რკინის გზის ტელეგრაფის მოხელეთა და მესრეთა უყურადღებობით, რის მიზეზიც ის არის, რომ ეს მოხელენი და მე-

ისრენი ძლიერ ბევრს მუშაობენ, მოსვენება არა აქვთ და მეტად იღლებიან. ამის გამო გზათა მინისტრს უბრძანებია ამ მოხელეთა და მეისრეთ შეღავათი მიეცითო. ეხლა ტელეგრაფის მოხელე მთელ 24 საათ'ა მუშაობს, როდესაც მორიგეა. მინისტრი ბრძანებს, რომ მორიგობის დრო არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს, ხოლო იმ სადგურებზედ, სადაც უფრო მეტია ჯაფა, მუშაობა 8 საათს არ უნდა აღემატებოდესო.

⁂ **ამიერ კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფის შემოსავალი.** 1896 წელს რკინის გზის ტელეგრაფს გადაუცია 5,614,799 დეპეშა, ამ რიცხვიდგან კერძო კაცთა დეპეშა ყოფილა სულ 183,388, დანარჩენი თვით რკინის გზის მმართველობისაა. სულ შემოსულა ფული 42,067 მ. ამ ფულიდგან 25,603 მ. 51 კაპ. გადაეცა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას, დანარჩენი 16,463 მ. 50 კაპ. თვით რკინის გზას დარჩა.

⁂ **ფოსტის გზის შეცვლა შულავერსა და ალბულაღზედ.** ტფილისის საგუბერნიო მმართველობამ და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმა გადასწყვიტეს ეხლანდელი ფოსტის გზა ალბულაღზედ ასე იქმნას შეცვლილი. ფოსტის გზა გაივლის ტფილისიდგან სოღანლუღზე, კოდაზე, სალისაშენზედ და აქედგან წავა ალბულაღში. ეხლანდელი ფოსტის სტანციები ტაბახმელა და ბორბალო გაუქმებულ იქმნებიან. შულავერზედ-კი ფოსტის გზა წავა ყარსის რკინის გზის სადგურ აშაღა-ფარალიდგან, რომელიც შულავერზედ მხოლოდ 8 ვერსზეა დაშორებული.

⁂ **კრება სამხედრო დაწესებულებისა შავი ჭირის გამო.** გუშინ წინ უმთავრესი შტაბის შენობაში კრება იყო შავი ჭირის გამო სამხედრო პირთა მთავარ მართებელის თანამდებობის აღმასრულებელის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარის თავმჯდომარეობით. კრებაზე დაესწრნენ ყველა ჯარის უფროსი გენერლები, გუბერნატორი და სამხედრო ექიმები. რა ღონე და ზომებია მიღებული ხსენებულ კრებისაგან, ამას ჩვენს მკითხველებს თავის დროზე ვაცნობებთ.

⁂ **ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო.** ბატონო რედაქტორო! სიამოვნებით გადავიკითხე ბ-ნის შავი ზღვის პირელის წინადადება ჩვენი სახელოვანის მოღვაწის გამო; მართლაც მშვენიერი აზრია, დაარსდეს საუკუნო ძეგლი, „ილიას აუზი“.

მკითხველებს და თქვენც მოგახსენებთ, რომ ჩვენში არსებობს ქალთა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს საქალებო ქართული შუათანა ხარისხის სასწავლებლის დაარსება. ამ საზოგადოებას ამ ჟამად, თუ არ ვცდები, ათასს თუმანზე მეტი თანხა აქვს და სათავად-აზნაურო ბანკმაც აღუთქვა მოგებიდან ყოველწლივ დახმარება, თუმცა სამწუხაროდ ჯერ ჯერობით არაფერი გადაუდვია ამ თანხისათვის. ხსენებულ საზოგადოების თავს-მჯდომარე ჩვენი ყოვლად პატივცემული მოღვაწე ნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა ბევრსა ცდილობს თანხა გაადიდოს, მაგრამ ჩვენს ხელმოკლეობასთან ძნელია შემოწირულობით თანხა იმ ზომამდე გადიდდეს, რომ საკმარისი იყოს საქმის დაწყებისათვის.

ჩემის აზრით ყველაზე უფრო მოხერხებული და მომარჯვებული იქნება, რაიც ყველა პარტიას დააჯერებს, რომ ჩვენი ახოვანი პოეტის იუბილეის დროს შეკრებილი ფულები შეუერთდეს ქალთა საზოგადოების თანხას და ეწოდოს მას „ილიას აუზი“ და ამ შეერთებულის თანხით, რომელსაც ეჭვი არ არის ბანკიც მოეშველება ან ერთბაშად ყოველ წლიური დახმარებით, შევუდგეთ საქალებო სასწავლებლის დაარსებას, რომლის საჭიროება ყველასათვის ცხადია, რომელიც აუცილებლად, თუ არ გვინდა, რომ ბოლო მოგვეღოს სრულებით და ილია ჭავჭავაძეც ხომ ერთგული მოციქული იყო ჩვენის არსებობისა...

ქალი.

⁂ **ღრმად მოხუცებულნი კაცნი.** საერთო აღწერის დროს ქობულეთის მახლობლად სამი ას-ას წლოვანი მოხუცი აღმოჩენილა. ერთ ამ მოხუცთაგანს შარშან მოკვდომია მამა, რომელიც ას ორმოცი წლისა ყოფილა.

⁂ **ახალ წამლების სიმრავლე.** 1896 წლის უკანასკნელ ექვს თვეში გამოუგონიათ 117 ახალი წამალი. რა თქმა უნდა, ძლიერ ძნელია ამ ახალ წამლების რიგიანად გამოკვლევა და შესწავლა, როგორ მოქმედებს თითოეული სხვა-და-სხვა ავადმყოფობაზე. ამიტომ საჭიროა, კაცი ახალ წამლებს ერიდოს, ვიდრე რიგიანად გამოიკვლევს მეცნიერება.

⁂ **კიდევ შავი ჭირის შესახებ.** ვენის ერთს გაზეთში მოყვანილია წერილი, რომელიც ბომბეიდამ მოსვლია ერთ ვაჭარს: „შავი ჭირი ძლიერდება. იანვრის მეორე კვირაში დახოცილთა რიცხვმა 16,038 მდე მიაღწია, იანვრისავე უკანასკნელ კვირაში ეგ რიცხვი გაიზარდა 17,058-მდე. მხოლოდ ერთს დღეს, 3 იანვარს დაიხოცა 354 კაცი. ამასთანავე ისიც უნდა იქონიოთ სახეში, რომ რიცხვი აქაურ მკვიდრთა განახევრდა: ზოგნი აქეთ-იქით გაიფანტნენ და ზოგიც საშინელმა სენმა დახოცა. წარსულს კვირაში მომკვდართა შორის ცხრა ევროპიელიც მოჰყვა: სამკურნალოს უფროსი ექიმი, სანიტარო ინსპექტორი, მისი მომვლელი ინგლისელი ქალი და სხვ. ამ ჟამად ბომბეიში თითქმის ერთიც აღარ მოიპოვება ევროპიელი, იმიტომ რომ ვისაც-კი შეეძლოთ, გაეშურნენ ევროპისაკენ. ვანდოასა და პაონშიც (საგარეკო ადგილებია) გაჩნდა შავი ჭირი. გასაკვირალია, რომ მანდვის ოლქში მოისპო ჭირი; როგორც-კი გაიგეს ეს ამბავი—გაქცეულნი მკვიდრნი ისევ დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სახლში.

ფრიად საინტერესონი არიან იაპონიის პროფესსორის კიტიზატოს გამოკვლევანი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით შეიძლება უვნებლად ვახადოს კაცმა შავის ჭირის ბაცილა. გამოშრობა ჰკლავს ამ ბაცილას სამოთხს დღეში. მაშინ, როდესაც მზის სხივის ზედ-მოქმედებით იგი ორი დღის განმავლობაში იხოცება, ერთ პროცენტიანის კარბოლის წყალი ჰკლავს ბაცილას ერთი საათის განმავლობაში, ხოლო ნახევარ-პროცენტიანი იგივე წყალი ორი საათის შემდეგ მოქმედებს: კიდევ უფრო სასტიკი გავლენა აქვს ამ ბაცილაზედ კირის წყალს—რამდენსამე წამში ჰკლავს მას.

ამ პატივცემულის პროფესსორის გამოკვლევამ მოგვცა საშუალება ვებრძოლოთ შავს ჭირს და აუგო საძირკველი მეცნიერებას ამ საოცარის სენის შესწავლისათვის. ექიმი კიტაზატო დიდს თვალ-ყურს ადევნებს აგრეთვე თაგვებსა იმ სახლებში, სადაც შავის ჭირით ავად-მყოფებია, რადგან ისინი უმთავრესნი გამავრცელებელნი არიან, თურმე, შავის ჭირისა.

⁂ **ინგლისის პერი ექიმი ლისტერი.** მარკიზმა სოლოსბერიმ მოახსენა დედოფალს ვიქტორიას, ჩვენს გამოჩენილს ექიმს ლისტერს ინგლისის პერობა უბოძეთო. დედოფალი დასთანხმდა და მთლი ინგლისი აღტაცებით მიეგება ამ ამბავს. ეს მაგალითი ამტკიცებს, რომ ინგლისი დიდად აფასებს ნიჭიერ და მეცნიერ კაცებს. სამწუხაროდ ჯერ კიდევ არის ისეთი სახელმწიფოები, სადაც პირ იქით ათასის ხრიკისა და ინტრიგის წყალობით, არა თუ პატივსა სცემენ, არამედ ნიჭიერსა და მცოდნე კაცებს განდევნიან ხოლმე თავის თანამდებობიდგან.

⁂ **ვარშაველი ქალი კუნძულ ცეილონზე.** ვარშაველმა ქალმა ხაია ჩუბანსმა მიჰმართა „ბუენოს-ჰაირესის მოტაცებულ ქალთა მფარველს საზოგადოებას“ და სთხოვა: „შემატყობინეთ, რა ყოფაშია ან სად არის ჩემი 22 წლის ქალი, რომელიც 1889 წელს მოტყუილებით მოიტაცეს“. ხსენებულმა საზოგადოებამ აღმოაჩინა, რომ ჩუბანსის ქალი მოუტაცნია ცოცხალ საქონლით მოვაჭრეს სამუილ გონშერს და მიუყიდნია ბუენოს-ჰაირესში ვიღაც რაკისათვის, რომელსაც ცუდი ყოფაქცევის ქალთა სახლი აქვს გამართული, აქედამ 1893 წელს გაუყიდნიათ კალკუტაში და აქედამ-კი ორი წლის შემდეგ ქალი კოლომბოში წაუყვანიათ, ცეილონზე.

ნიძლავით ათასი კოცნა. პრეზიდენტის არჩევანის დროს მიჩიგანში ერთი ახალგაზდა ქალი ვარრი ოსლერ დანაძლევებია თავისს საქმროს, რომ თუ ბრაიანი არ აირჩიეს, ათასჯერ გაკოცებო. ქალმა სანაძლეო წააგო და თავისი დაპირება უნდა შეესრულებინა. ქალმა ვერ მოასწრო მთლად დასრულება ნიძლევისა, როდესაც ქალსა და საქმროს შუა აყალმაყალი ასტყდა შესახებ იმისა, თუ რამდენი კოცნა დარჩა კიდევ. ქალი ამტკიცებდა, რომ ყოველთვის სწორედ ვსწერდი თითოეულს კოცნას და შეცდომა არ მომსვლიაო... რადგან მორიგებით ვერ გაათავეს საქმე, ამიტომ გადასწყვიტეს დავის მოსასპობლად ორი კერძო პირი მოიწვიოთო. მედიატორებმა ასეთი გონიერი განაჩენი დასდვეს: „ყოველივე დავის მოსასპობლად, საჭიროდ ვსცნობთ, ხელ-ახლავ დაიწყოთ კოცნაო“. ვაჟს, რა თქმა უნდა, არ განუსაჩივრებია ეს განაჩენი, რადგან მისი საცოლო ძლიერ ლამაზი ქალი იყო...

⁂ **მაჩვეულა.** მატარებელის ერთს ვაგონში ისხდნენ ორი ქალი და ერთი კაცი. ქალებმა განუწყვეტელი ლაპარაკი გააბეს. ბოლოს ერთმა ქალმა უთხრა კაცს: მგონია, ჩვენის ლაპარაკით თავი მოგაბეზრეთ.

— არა, ქალბატონო, — უპასუხა კაცმა, მე ოცი წელიწადია, ჯვარდაწერილი გახლავართ.

რკინის გზის ამბები.

რომ სახალხო მატარებლებში სივიწროვე არ იყოს, რკინის გზის მმართველობამ განკარგულება მოახდინა: დღეიდან ამიერ-კავკასიის და ყარსის გზისთვის მუშები მეოთხე კლასის ბილეთებით სახალხო მატარებლებით აღარ უნდა წაიყვანონ, არამედ ბარგის მატარებელით ბარგისვე ვაგონებში, და ვაგონები მუშებით-კი სხვა ბარგიან ვაგონებზე ადრე გაიგზავნებიან.

ყარსის რკინის გზის ლიანდაგი 8 თებერვალს შეუერთეს უმთავრესს ამიერ-კავკასიის გზის ლიანდაგს. ამისთვის დღეიდან მოძრაობა ყარსის გზაზე ტელეგრაფის შეკითხვებით უნდა მოხდეს.

ქიათურა. 7 თებერვალს, 2 საათსა და 15 წ. მატარებლის ერთის ვაგონის ქვეშ ჩავარდა ლავრენტი ეჯიბაძე და ფეხი წვივში მოიტეხა. აქ შეხვდა კერძო ფერშალი ებრელიძე, რომელმაც მოტეხილი შეუკრა და საავადმყოფოში გაგზავნეს.

თეატრის მატიანე.

ტფილისის ოპერის არტისტები, როგორც ამბობენ, აქ სეზონის დასრულების შემდეგ მიემგზავრებიან ქ. ბაქოში და იქ დიდ მარხვის მეორე კვირიდამ დაიწყებენ ოპერის წარმოდგენებს ტაგიევის თეატრში.

ახალი გამოგონება

ზარბაზნის სროლა წყალის ქვეშ პლიმუტში გამოსცადეს, შეიძლება თუ არა შიგ წყალში ზარბაზნის სროლა. როდესაც ჩვეულებრივ ზღვამ ცოტა უკან დაიწია, ზღვის ნაპირას დასდგეს არმსტრონგის სისტემის ზარბაზანი და დაუმიზნეს ერთს ძველს გემს, რომელსაც ზარბაზნის პირდაპირ მიაკრესო მუხის სქელი ფიცარი, სპილენძ გადაკრული. ზღვა რომ ისევ წამოვიდა ნაპირზედ და ორი ადლის სიმაღლეზედ დაფარა ზარბაზანი, ელექტრონით დასცალეს იგი.

მერე გემი გასინჯეს და აღმოჩნდა, რომ ტყვიას გაუხვრეტია სპილენძ გაკრული მუხის ფიცარი და გვერდიც გემისა, რომელშიაც წყალი ჩასულა.

სამეცნიერო ამბები.

ელექტრონის ძალით ზოგიერთა წამლების ხმარება. ქ. ფრანკფურტის (მაინზე) ზოგი ექიმები ამ ჟამად სცდიან გაატარონ წამლები კაცის სხეულში ელექტრონის ძალით.

ჯერ-ჯერობით თავიანთი შრომა მით დააგვირგვინეს, რომ შეიძლეს ზემო აღნიშნულის საშუალებით ვერცხლის-წყლის, იოდისა და ბრომის ხმარება, და თუ, ვინიცობაა, ასეთივე საშუალებით პირდაპირ ადამიანის სხეულში ისეთი წამლები, როგორც ბანგი (морфій), ხლორის ტყვია (хлористый цинкъ) და რკინა, მაშინ, რა თქმა უნდა ზედ მიწევნით გაუმჯობესდება ექიმობის საქმე და მით დიდს სამსახურს გაუწევენ კაცობრიობას პატივცემულნი მეცნიერნი.

ვაჭრების და იჯარადრების საყურადღებოდ.

დამდეგის წლის თებერვალს დანიშნულია ოლქის სასამართლოში საჯარო ვაჭრობა ვაჭარის მიხეილ ივანესძე ნიკოლოსოვის უძრავ მამულზე, მდებარე ბარონის ქუჩაზე № 13 და მდგომარე ორ სართულიან სახლში და იმ გვარსავე ფლიგელში, 70 ოთხკ. საჟ. მიწით. საქმის ნახვა მსურველთ შეუძლიან სასამართლოს კანცელარიაში ყოველდღე.

ამავე რიცხვს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ოლქის სასამართლოში ვაჭარის ივანე ტელიაფურის უძრავ მამულზე, მდებარე პირველსა და მეორე მალაკნის ქუჩებზე, მდგომარე ორ ნაჭერ მიწაში ზომით $1045\,^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ, საქმის ნახვა მსურველთ შეუძლიან ყოველდღე სასამართლოს კანცელარიაში.

15 თებერვალს ტფილისში გზათა მმართველობის კანცელარიაში დანიშნულია ვაჭრობა ორ საყარაულოს გასაკეთებლად. ერთი უნდა გაკეთდეს ახალციხე-აბასთუმნის გზა ტკეცილზედ 2970 მანათად და 52 კაპ., მეორე აბასთუმანში—5232 მან. და 75კაპ.

თიანეთის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება მამული სვიმონ ბოდაველისა, რომელიც იმყოფება სოფ. ახმეტაში. მამული აწერილია გასასყიდათ 200 მანათში.

სურამის სასამართლოს ბოქაული ნ. ბანოვი აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს, დილის 10 საათზედ, გაჰყიდის შემდეგ პირების მამულებს:

1) გნ. მარიამ ფალავანდიშვილისა, სახნავ-სათესი მიწები და ტყე.

2) თვ. მიხეილ დავითის ძე ციციშვილისა $^{1}/_{16}$ ნაწილი „სცეცეანო მთაში“ და 120,000 დესეტინა სახნავი მიწა.

3) აზ. ქეთევან გიორგის სულის ორჯონიკიძისა, დედით სავანელი.

4) ეკატერინე ალექსის ასულის ჩელიძისა.

5) გლეხების გიგო და თედო გაბრიელის ძეთა ბოლოტაშვილებისა.

6) გლეხის გიგო გიორგის ძის ასპინძელაშვილისა.

დაწვრილებით პირობის შეტყობა შეიძლება სურამის ბოქაულთან.

განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება

ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები
გამოცემა უდაბნურ წყალწმიდის ძმობისა,
თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შულაროვთან. (3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Февраля 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.

რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.